

დროშა

ბამონის შოველ დღე ორშაბათს ბარდა.

შანი ბანსადმონსა

სტროქონზე რეკავ. განცხადება მოქმედებს რუსულს და სხვა ენებზე. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუთებულ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუთებს.

ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკო

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მძაწერა, მიიღება თბილისში «დროშის» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тиф. листъ, 1 въ редакцію «Дрошба»

«დროშის» ფასა

თბილის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ეკსტრის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

სულგრავენი

(ქრდილოეთის საავტონომიო.)

26 ოქტომბერს.

პატივგაზრდი. «მმართველობის მოამბე»-ში იბეჭდება სისტემატიური კრება გუბერნიების და სათემოების კომისიათა დასკვნათა სასამართლოს საქმის შესახებ.

გაზეთებში გავრცელებული იყო ხმები, ვითომც მინაურ საქმეთა სამინისტროს შეეტანოს კონსტიტუციის კომისიაში კონტრ-პროექტი; ამის შესახებ «ნოვოე ვრემია» იწერება: თუ სწორედ ვიტყვით, სამინისტრომ პროექტი კი არ წარადგინა, მხოლოდ ის აზრი გამოთქვა, რომ საგზაო ძველი წეს-წყობილება დარჩეს და ახალი წესი საჭირო არ არისო, სამინისტროს თურმე კერძო შესწორებანი და გაუმჯობესებანიც საგზაო მიაჩნია.

ვიდრემდის ქალაქებში უძრავ ქონებათა დაფასების საკუთარს წესებს შეემუშავებდენ, უძრავ ქონებათა გარდასახადის განწესების დროს დღეის იქით უნდა ხელმძღვანელობდენ მზდვეველ საზოგადოებათა დაფასებით, რადგანაც ეს საზოგადოებანი უფრო სწორედ აფასებენ მათ.

მომავალს წელიწადში იმპერიის სხვა და სხვა ქალაქებში და პრევიისტიანის მხარეში განზრახვა აქვსთ ააშენონ მრავალი ყაზარმები.

მანა. ვენგრის დედეგაციამ დაწინა 7,307,000 კულდენი ბოსნიის და ჰერცეგოვინის დროებით ჯარით დაჭერისთვის. მინისტრმა კალნოკიმ გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის შემოსავალი ვერა ჰუბარავს ხარჯსა და ამისათვის სამხედრო ხარჯი იმპერიას ედება; მაგრამ იმედი კი არის, რომ გარნიზონებს შეამცირებენ, რადგან მხარეში მუდროება არსებობს; 2500 ლტოლვილთაგან, 200 კაცი დაბრუნდა ჰერცეგოვინაში და წენარად იქცვიან; ჯარის აგრეთავე მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიში. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და პრეზიდენტი გრევი ნადიროზენ დღეს რამბულიეს გარემემო.

პეკინში საფრანგეთის ელჩად ნამუფთმა ტრიკემ მისწერა ტელეგრამა პეკინში შესახებ თვისის და ლა-ხენგ-ჩანგის ერთმანერთთან მოლაპარაკებისა; ამ ტელეგრამის გამო, ჩინეთის მმართველობამ გამოუცხადა საფრანგეთისას, რომ იმას აკვირებს ლი-ხენგ-ჩანგის

მოქმედების შესახებ გავრცელებული ხმები, და მოსწონს მარკიზ ძენგის მოქმედება.

მანა. პეტერბურგიდან მოვიდა აქ ბულგარიის მინისტრი ბალაბანოვი.

ალექსანდრია. აქ მოვიდა რუსეთის დიპლომატიური აგენტი ნიტროვო.

ბელგრადი. ზაჩარში ოპიციანული გამოძიება იყო და ამ გამოძიების გამო ბელგრადში დაატუსაფეს რამდენიმე წარჩინებული წევრი რადიკალური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა; დატუსაფებული რიცხვში ორი პროცესორი ურევია და ერთიც თამბაქოს ვაჭარი...

მალაის სავაშო სოლფაში მას-ვაშალაბათ დანიშნის გამო.

ძველად ქართველები ცხოვრების მოწყობილობით სხვა აღმოსავლეთის ხალხებზე უკან არ ყოფილან. ზოგიერთ საქმეში წინაც იდგნენ. სხვათა შორის, ამას გვიმტკიცებს ის შეხედულობა, რომელიც ჰქონდათ ქართველებს ქალზე, და ქალების მდგომარეობა საქართველოში. მართალი ქალი დიდ მონაწილეობას იღებდა საზოგადო საქმეში და დიდი გავლენაცა ჰქონდა ცხოვრების მსოფლობაზე; ქართველი ქალი იყო ბურჯი ოჯახისა. მართის სიტყვით, ქალის ასაპარეზი საქართველოში ფართო იყო და იმ შეცთომილ აზრებს ქალებზე და მათ ღაჩაგრას და დამცირებას, რომელთაც ვხედავთ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ჩვენს ხალხში ნიადგი არ ჰქონია.

მაგრამ უფრო ფართო ასაპარეზი ქართველ ქალებს ემყარებოდა ალბანიაში ჰქონდათ. მართალია სწავლობდა წერა-კითხვას ქალებისაგან. ძალიან განამტკიცებდნენ ქართველებს სარწმუნოებაში და სამშობლოს სიყვარულში. შაწველების აღზრდაში ქართველ ქალებს მეტოქე არაფერ ჰყოლია სამღვდლოების გარდა.

მეორობის განათლებულმა ხალხმა ამ უკანასკნელ დროს, მეთორამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებში, შეიგნო ქალების დიდი მნიშვნელობა პედაგოგიურს საქმეში. მოწინავე საზოგადოებამ დიდი ღვაწლი აღმოუჩინა ქალებს ამ საგანში, მაგრამ თვით ქალებმა-კი უფრო მეტი შრომა გასწვიეს, რომ მოეპოვათ სრული უფლება საფეო და საქლო სკოლების მასწავლებლობისა. მანაკუთრებით აკერიკის ქალებმა ყველაზე უფრო

თავი ისახელეს. საფრანგეთში იმპერატორის დროს, როცა ქალებს ნიშნავდნენ საფეო სკოლებში მასწავლებლებათ, კლერიკალებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ძალი ზნეობით გაზრწნილობას შეიტანს სკოლებში; ქალი სუსტი არსება არისო და ვერ შესძლებს შრომასო და სხვა ბევრი ამგვარი უსაფუძვლო საბუთებით აღიჭურვნენ ქალების მოწინააღმდეგენი. ძალიან ბევრით და კარვად საქმის წაყვანით ალაგმეს კლერიკალები. დღეს დიდი ძალი სახალხო სკოლებისა საფრანგეთში ქალების ხელშია. სახალხო სკოლებსაც სახელი შეეცვალა: საფრანგეთის სახალხო სკოლებს დღესაც სკოლებს უწოდებენ.

არა თუ საფრანგეთში, სხვა სახელმწიფოებშიაც ქალებმა მეტი იმრომეს თავიანთ საქმისათვის, ვიდრე მეცნიერებმა თავიანთ თეორიებით და ჰიპოტეზებით. ჩვენში ასე იყო და დღესაც ასე უნდა იყოს.

მა ყოველივე წარმოგვათქმევინა ქალების მიღებამ მასწავლებლებათ მუთისის საზნაურო სკოლაში. მეტად სასიამოვნო მოვლინებად უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება ჩვენს ცხოვრებაში. დღეს ჩვენს ქალებს ეძლევათ შემთხვევა დაამტკიცონ თავიანთი მალალი დანიშნულება საზოგადო ცხოვრებაში და გააცროუნ ის ცრუ აზრი, რომელიც მათზე შეუდგენია უმეტეს ნასილს ჩვენი საზოგადოებისას. მათი ნაყოფიერი შრომა ეგრეთვე გზას გაუკვლევს მათ დებსა. ღმერთმა ნუ ჰქნას მათი წაბორძიება ამ პირველ ნაბიჯზედ. რა შედეგიც ექმნება ამ წაბორძიებას, ეს ყელასათვის ადელი წარმოსადგენია.

ქ. ქუთაისი.

შინაური ძროხისა

გახუთიდავს გვერდს, რომ თანხუთიდავს აღზნისკენ მიმავალი მეცხვარეები დიდს შევიწროებაში არიან ზოგაერთა მამულის მეპატრონეების უარულუბისაგანაო. მაგ. რადგან ეს მეცხვარეები ს. მატანს ვერ ასცდებიან, იქ დაუყენებელი მეკლეები გამოცვიან თურმე და ორს სამს სულს ცხვარს ართმევენ. თუმცა იქ სამკარნი სრულად არ მოიქეება და ეს შესწირავი მარტო გზად გატარებისათვის გადასდებით სოლმე მეცხვარეებს. ამ უწესებებს სხვა უწესებაც თან მოსდევს სოლმე და სწირად მეცხვარეებს და მეკლეებს შუა შეტაბობითა და ჩხუბით თავდება საქმეო.

იქიდანვე იწერებან, რომ ს. ორსკვას თურმე გამიჯნავი კომისიას

მოქმედებს და როგორც თითონ კომისია, ასე მოდვენ და მონაწილენი «ზეკუცისათა» უდგანან სახლში გლეხებს და თვეობით და ორის თვეობით დაუხატაუბლად სტუმრობენო. უკლებადის, რომ ამ გვარი უბრალო ზღილობის წინააღმდეგი ამავე სხვაგანა მალან სწირას.

სამეგრელოდამ იწერებან, რომ საქონლის და, მეტადრე ცხენების, შატრონების დიდს შეღავათს აძლევს სახლს მთა, სადაც უოკვლს საფრუეს სამი სათას ცხენზე მეტი დადის სამკრად. აქამდის, ვიდრე სხვა იჯარადრის ხელში იყო ეს მთა, ცხენები ასე არხეინად დადიოდნენ, თითქო ოთხს ეკლავს შუა ყოფილიყენს შემწვევდენიო, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს მთა იჯარით აიღო შრისტაქმა ამამეკლმა, თითქო მთას ცხენა კარი გაქსნან და შატრონი ცხენს რომ გააგდებს იქ სამკრად, დაწმუნებული არ არის, შემოდგომასუდ თავისი ცხენი ისე დაუბრუნდება, ან თუ დაუბრუნდება, საჯდომად კიდეც გამოდგება, თუ არა.

გახუთიდავს გვერდს, რომ სოფ. კელის-ცისის მამასახლისს შემდეგი საუბრადღებუ სამსახური გაუწვია თავის სამამასახლისოსათვის:

- 1) აუკრძალავს სოფელში მოძებული ხარჯი მკვლარზედ;
- 2) ამ ორის წლის წინად სეტყვას ამ სახით განადგურების მთელი სოფელი, რომ ვინახუბის შატრონები სულ კაღში ჩაგვირულან. ამ დროს სოფელზედ 4 000 მანეთი ფოსტის ფული ყოფილა ასაგროფი. ეს ფული მამასახლისის შემწეობით ათის წლის ვადით დაუხანებია მთავრობას;
- 3) ქიზაყიდავს მოუტანინებია სესხად 300 კოდი პური სწულად დამუშულ ხალხისათვის;
- 4) ხალხი მოხელებსა და ჩაფრების დაწმუნებისაგან გადაურჩენას. როდესაც ეს მოხელები მოკლენ თურმე, განცლერაში აქვთ ადგილი და საჭმელი და აბა კლეს-გაგების სახლებში უწინდებურად;
- 5) გაუნსნას ორი სასწავლებელი;
- 6) 1881-ში ჰქონდა სკოლის წელი გადმოკარდნალა სოფელში და მამასახლისის თავის ერთგულობით დაუხანდა დიდი ნაწილი სახლებისა და მანუბისა დაღუპვისაგან.

თუ ყოველივე ეს კორესპონდენტისაგან გაზვიადებული არ არის, სასურველია, რომ კელის-ცისელი მამასახლისის მაგალითს სხვა მამასახლისებმაც მიჰბადონ.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: «დროშისა» 212 ნომერში კვითხულდობთ, რომ აფხაზეთში ბევრი მისიონერები ყოფილან და კიდევ მოდიანო, მაგრამ ქრისტიან საწმუნოებას ვერ შეუ-

ვისწინ აჭაუბებო, თუძე მთავრობამ რამდენიმე მონასტერი მისიონერ ბერებს მიანდგა.

ამის წავითვალისწინებთ, რომ გავიგონოთ ფიჭვის მთის (ПИЦУХИ) მონასტრისადმი აღუკვეთ ბერებს განსახლებულად და მამათ საღვთმად ფიჭვის-მთის მონასტერი გუგუთნის იმ გუნდსა ძველის მონასტრებისას საქართველოში, რომელთა შემწობით განათლებული მხილველი ადადგენს ხოლმე წარსულ ცხოვრებას ხალხისას; ნაშთენი ძველის მხატვრობისა კედლებზედ (ფრესკები) და არქიტექტურას განაცხადებენ საუკუნეებში ჩამანსულს კულტურას ქვეყნისას. ამ საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნებში ხალხურ ზღაპრებში გამოიკვეთეს ხოლმე სიმართლეს, ლეგენდას ქსდისან ისტორიად და ხალხს გაანობენ მის წარსულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველს მონასტრებში ამ ნაირს ხელობას ვერ გამოიხიენ რუსის ბერები და «განსახლება» მონასტრისა ის იქნება მხოლოდ, რომ ნანგრევს ადგას აგურს დაუმატებენ და კედლებს კირით შეაკვან. დაად თუთრად და სუფთა გამოკა, მაგრამ იმ კირის ქვეშ დაიფლება უგანასხეული ნაშთი ძველის ხელობისა და კულტურისა და ამ სახით, შეიძლება, წინამორბედნი მისიონერნი ქრისტიანობისა გამოადგენ ცივილიზაციის შემდგომად, როგორც მონდა ეს მცხეთის ტაძარში.

აი, ესეთი და სხვა ამ გვარი უმეტესად არის მიზეზი, რომ ქრისტიან მცხობა ხალხში მსწრაფად არა ვრცელდება. ისტორიული წარსული აფხაზეთის ხალხისა გვიტყობს, რომ ეს ხალხი მთელს საქართველოსთან ერთად უფროა ქრისტიანი და თუძე უგანასხეულს საუკუნეებში მსახურისა გავლენამ ნახევარი ხალხისა განამადა, მაგრამ კვლავ მათი მოქცევა ძველს სარწმუნოებაზედ არ უნდა იყოს ძნელი საქმე.

მხოლოდ საშუალებად უნდა იყოს ხალხში გავრცელება ნამდვილის სახარების ნათლისა და არა ღირსება დასუბილება რუსულად და აიხმის სხურება.

რომ ასეთს მოქმედებას და ამ გვარ მოციქულებს დიდი გავლენა არა ჰქონდას ხალხში, ეს არ არის განაკვირვებელი. — სამწუხაროდ ის მივანხნა, რომ გორკისპირდენტი სხანს არ დაჭკორებია დროთა ბრუნვით დამახინჯებულს შინაგანს ცხოვრებას იმ ხალხისას, და არ შეუსწავლია უმთავრესი მიზეზები მისი უფრო-ცხოვრებისა და გავრით მთავრებისა. ეს «დროება» და ჰიკონსას მის მამის როდესაც იმ ხალხსა აქვს ცოტადენი უფლება იმედობდეს, რომ ქართული ზრესა შეაწინაურებს მის მდგომარეობას და მიიღებს მას მთავრობის ქვეშ ბეჭდის სიმართლისა და თანაგრძობისას.

მატივერეული ავტორი სცდება, ვითომ ჩვენს კორესპონდენტს აფხაზეთის გაკიცხვა ჰქონდას გულში. ჩვენს კორესპონდენტმა დასასხელა თვით ფაქტი, რომელიც ამ უგანასხეულს ორმოც-სამოც წელიწადს უკვლახათვის თვალ-საჩინოა.

რაც სვეტებს მიზეზების გამოკვლევას, წერილის ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ეს არა-უფაველთვის შესაძლებელია მიზეზთა გამო სხვათა-და-სხვათა.

წერილი მუთისიდან

როთი იცნობა ხალხის თვით-არსებობის უფლება? — ბრძოლა «მე» და «ჩვენ»-შორის. — «საქრე» კბილი — იმერეთის სამღვდელთა კრება. — მღვდლები ჯორჯი უფრო ზრუნავენ, თუ შეილება? მ. ლამაზაძის ფარას წაღმა-უფლებად ტრიალი. — სასაცილო მადლობა ბ. ი. ფხაკაძისადმი. — ფხაკაძის ობიექტი და მისი ქორონიონი. — რა შეუძლიან მ. ლამაზაძის გამჭვირვან გონებას, თუ განგებ არ «იოხნა». — ფხაკაძე, როგორც სასწავლებლის ზედამხედველი, ეგონი და სამოლის ლექსის დაწლიდარი. — არს-ტივები გადაშენდნ. — ბრძოლა ისაკ იაკობი ისაკი ეგონა.

თუ გინდათ, რომ ნამდვილი აზრი შეადგინოთ იმაზე, თუ რამდენად მომხდებელია რომელიმე ხალხი თვით-არსებობისთვის, დაიარაღებულია მოსაგერებლად მენე გარემოებათა საზოგადო განვითარების ასპარეზზე, რამდენად გამახვილებული აქვს მას შემოქმედი გონებითი ძალა თავის გარემოებათა იმ რიგად გასაწყობად, რომის გარკვევით გამოხატულს იდეალებს ადვილად სწვდებოდეს და წინ დახედრიოს უკუღმართს მანქანებებს სერხიანად სპობდეს და ამზობდეს. ერთი სიტყვით, თუ გინდათ გული დააჯეროთ იმაში, რომ ამა-და-ამ ხალხს ხელთ უწყრია უცქველი თვით-არსებობის უფლება, — დააკვირდით თქვენ ამ ხალხს საზოგადო საქმეების მართვა-კეთებაში და ყური გაიღესეთ, არ შეირიოთ, საიღამ ისმის პირადი ინტერესების, «ეგოიზმის» ხმა და საიღამ დაღალებს საზოგადო სიკეთისათვის პირუთენელი თედადება. როგორც მოგვსენებათ, კაცის ბუნება ორი ერთმანერთის წინააღმდეგის ელემენტისაგან შესდგება: პირუტყუს ინსტიტუტებს აქ განუშორებელ მებობლად ჰყავს ღვთაებრივი მაღალი ნიჭიერებანი. საზოგადო ასპარეზზე ებრძვის ადამიანის პირუტყული მხრით წამოყენებული ღვიზი «მე» მისივე ღვთაებრივი მხრით აღიარებულს ღვიზს «ჩვენ», და აი ამ ბრძოლის სასწორის რხევა თვალსაჩინოდ სწყვეტს, თუ როდის ედგმის ღრმად ფესვები ხალხის საყოველთაო განვითარებას და როდის ეთხრება ძირი ყოველ საზოგადო საქმეს და წინ გამოდის პირადობა. ეს საზოგადო განვითარების და კეთილ-ღვინების კანონი ამერებულია სულ მარტივ აქსიომაზე, უბრალო შემურყველ ჭეშმარიტებაზე: ორს რომ ორი მიემართოს ოთხი იქნება, ერთსა და იმავე საქმეს ოთხი უფრო მალე ასრულებს, ვიდრე ორი და სხვა. ეს ჭეშმარიტება ხომ ასე უბრალოა და საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ იციო, როდესაც იგი სრულის შეგნებით არის აღიარებული და ცხოვრებაში საქმით განხორციელებული, რამდენი უთვალავი სიკეთე და ტკბილი ნაყოფი მოსდევს? მაშინ ხალხში აღარ ისმის

ღარიბთა და ღატაკთა ოხერა-კენესა, უსამართლობისაგან დაჩაგრულთა, სუსტთა და ქერივ-ობოლთა სასწორ-კეთილდებრივი გოდება, აღარსად სხანს ორ ადამიანს შორის გაუზომელი უფსკრული, ჰქრება მგელ-ცხერობა და სამაგიეროდ ყოველგან თვალს ატკბობს ერთ-ერთი შეძლებსად აგვარად ნეტარება, თანხმობა, ძმობა, ერთობა და ამათი მომყოლი პირადი და საზოგადო თავისუფლება.

უნდა გამოვსტყდეთ, რომ ჩვენ ვეკუთვნით იმ კაცთა დასს, რომელთაც სურთ სულითა და გულით შეიღნი იყენენ იმისთანა ერისა, რომელსაც მაგრად ედვას ფეხი დედა-მიწაზე. მაგრამ ვაი, რომ არაის ჩვენს მამულის-შეიღთაგანს ფაქტიკურად არ შეუძლიან გული დაიჯეროს, რომ ის ნამდვილად ამ ნაირს ერს ეკუთვნის. ის კი არაა — სადაც კი საზოგადო საქმე ფეხს აიდგამს ჩვენს ხალხში, თავში იჭრება, თუ ბოლოში, ყველავისაც ყური სმენად აქვს და თვალის მხერად მიჩქებულთ, ცხადად ხედავს, რომ ამ ნაირ საქმეებისთვის ჩვენს ხალხს ჯერ «საქრე» არ ამოსულია.

რაცა ვსტყვით ჩვენს ხალხზე ცოლისა წამებად არაფინ ჩამოგვართვას, ჯერჯერობით ჩვენ გვინდა ამ წერილში ამ მხრით კბილი გაუსინჯოთ ამას (ხალხს) იმ სამღვდელთა კრების გამო, რომელიც ნოემბრის პირველს რიცხვებში მოწვეულია მუთისის სასულიერო სასწავლებელში*, რასაკვირველია, საზოგადო და არა პირადი საქმეებისთვის. იმედია, ვერაფერ გვეტყვის — ეს ჩვენი ხალხი კი არა, ზოგიერთა სამღვდელთაგან, რადგან სამღვდელთაგან ჩვენს ხალხში არც ისე ცოტა ადგილი უჭირავს და არც ისე ცოტა როლი აქვს მიცემული, რომ ჩვენ იგი არ მივიღოთ ჩვენის ხალხის ისეთ გამოკვეთულ და თვალ-საჩინო ნაწილად, რომელზედაც ნათლად არის აღბეჭდილი სახე ჩვენის საზოგადოებასა.

სამღვდელთა კრება მუთისის სასულიერო სასწავლებელში, როგორც მოგვსენებათ, ყოველ წლებით არის ხოლმე, და მარშანაც იყო, რასაკვირველია. საზოგადო დაბოლოებითი საგანი ამ კრებისა ის არის, რომ სამღვდელთაგან თავის ოფლით და ჯაფით ავებული ერთად ერთი სასწავლებელი მუთისში საიმედო და მტკიცე საფუძვლებზე ჰქონდეს დაყენებული როგორც ეკონომიურის, აგრეთვე პედაგოგიურის მხრითაც; მათი მრავალ-რიცხოვანი, შეიდას-რეაქსამდის, ამ სასწავლებელში მოქცეული შეიღები სწავლა-განათლების მისაღებად ნამდვილად ამართლებდნ მზობლების იმედებს — ვითარდებოდნ გო-

* შედგეს წერილებში კი თვით ამ კრების შედეგზე ვეცდებით ვრცელად მოველაპარაკოთ «დროების» მკითხველებს და ვისურვებთ, რომ ღმერთმა ნუ ჰქნას გამართლდეს ჩვენი მესმითური მოლოდინი ამ მომავლის კრებისაგან, და-ყრბული მისს წარსულს მოქმედებაზე.

ნებრივ და ზნეობრივ; ყოველივე კაპიკი, ჩვენებური ღარიბი მღვდლის განხრეტილი ჯიბიდან შემოტანისა ამ საწავლებლის შესანახავად ხმარდებოდეს მათ შეიღებს დანიშნულებისა-და-გვარად — და ეს ყველაფერი მთელს სასწავლებელს ცხადად უნდა აჩნდეს და არაისთვის საცქვო არ უნდა იყოს. საქვეყნოდ, აშკარად «კან ზროლი» სასწავლებლის მთავრობისა სამღვდელთაგან ყველა ამ მხრით აი ეს არის საგანი ზემოხსენებულის ყოველ წლიურის კრებისა.

ძრებები კი ყოველ წლებით იმართება მუთისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ, ჩვენსა საუბედუროდ, ყოველთვის ასცდომიან ხსენებულს დანიშნულებას, ყოველთვის ისე უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ ჩაუვლია მათ თავის-მოყრას შორეული სოფლებიდან, რომ იმათ კრებაზედ მხოლოდ ეს-ღა შეეძლო ეთქვა კაცს: მოვიდნ და წავიდნ. მეორე დღე გაუთენდებთ თუ არა მუთისში, სულ იმას გაიძინან: ჯორები გვეხრცება მამილით, ჩვენს თავს აღარ ვჩივით, მოვრჩით ბარემ, რაცა გვაქვს გასაკეთებელი, შინ-გავიშეთ, ბატონებო, და არაფერს დავეძებთ, როგორც გეწიროსთ, ისე სწირეთ. ამეების გამგონე მაცურებელი განცვიფრებაში მოდის, როცა ჰხედავს, რომ ეს დალოცვილი მამები ჯორებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე თავიანთ შეიღებზე. ეს ჯორების სიბრალოული სამღვდელთაგან შეტად ხელს უწყობს იმ ვაჟბატონებს, რომელთაც უთუოდ აბლაბუდაში განხვედა დეპუტატების უფრო ფხიზელი და მომთმინო საქმის დაკვირება.

სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ი. შხაკაძე მართლაც ისე ზოზინებს საქმეზე, რომ მესამე-მეოთხე დღეს თუ აღიარებს სამღვდელთა საქმეების განხილვის დაწყებას. აქ, რასაკვირველია, სამღვდელთაგან სჭირდება რიგანი წინამძღოლი, რომელმაც უნდა აუხსნას და გაავებინოს მას თვითოველად ყოველი განსახილველი საქმეების საქმეობა და მნიშვნელობა; დაარწმუნოს ისინი, რომ აქ სიჩქარე არაფერ შუაშია, რომ ისინი მოსულან მთელი წლის საქმეების ანგარიშის გასაწმენდად და მომავალი წლისთვის მოსალაპარაკებლად; აღძრას ყველაში ის აზრი, რომ ამ კრებების დანიშნულების განიჭრულად და რიგინად ასრულებად არის დამოკიდებული მათი შეიღების სწავლა-განათლების საქმე, და ამ უკანასკნელთა გონებით და ზნეობით განვითარებაზედ არის დამოკიდებული არა თუ მათი კერძო ნივთიერი კეთილ-ღვინობის აღდგინება, არამედ სამშობლოს ბედ-იღბალიც, რადგან ამ საწაწინათ უნდა გაუწიონ მომავალში მამულს თავიანთ მამების მაგიერობა; გაუღვიძოს იმათ სურვილი უფრო ფრთხილად და ერთგულად საქმეების განხრევისა; დაარწმუნოს თვითოველი მათგანი, რომ ისინი მოსულან კრებაზედ როგორც დეპუტატები სხვების მონდობილობით, და არა მარტო

პირადის ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რომ თვითოველი მათგანი არის ათი და ოცი თანამომხის წინაშე პასუხის მგებელი. ამ წინამძღოლმა ყველა ესეები ჩააგონოს მათ და პირველად თვითონ აღამაღლოს სიმართლის ხმა იქ, სადაც რაიმე მანქანების სუნი ასლიოდეს, და მაშინ, ვნა მოგვეკვირით, თუ მღვდლებმა ჯარები შეილეს ამჯობინონ, თავიანთი ნაკვდავ-ნაცოდელიები ფულეები გაიძვერეს შეჯამონ, ნორჩი და ქორთა შეილეს თვით უწვრთნელთა აწვრთნენიონ.

მერე მოვპოვება თავიანთ წრეში სამღვდლოებას ამ გვარი წინამძღოლი, თუ არა? მიდრე ამ კითხვას გადაჭრით პასუხს მიესცემდეთ, ჩვენ აღვნიშნავთ ამ ჭაქტს, რომ ამ ქამად იმერეთის სამღვდლოებას ჰყავს რამოდენიმე სემინარიაში კურს-შესრულებულნი და ხელდასხმულნი წარმომადგენელნი, რომელთაც, ჩვენის აზრით, უნდა შეეძლოთ ამ სამსახურის გაწევა თავიანთ მოძმეთათვის. მაგრამ, ჩვენ და საუბედუროდ, ზოგი მათგანი ან სრულს გულგრილობას იჩენს ამ საქმეში და ან ხშირად უკუღმართს გზას ადგია და საითაც უნდა, იქით უკეთებს ქოთანს ყურს თავის პირადი ინტერესების მიხედვით.

ამ უკანასკნელებში მკითხველიც მიხედება, რომ პირველი ადგილი დიდი ხანია, რაც მ. ლ. ლ. უჭირავს. ამას კი ვამბობთ მ. ლ., მაგრამ არ გეგონათ, მკითხველო, რომ ჩვენ იმაზედ მთლად იმედ-მოსაპობილი ვიყოთ. აგერ თხუთმეტი წელიწადია, რაც ის ცნობილია საზოგადო ასპარეზზე და როდესაც თვალ-წინ ვიდგენთ ამ კაცის წასრულს და აწმყო მოქმედებას, ჩვენს თავში იბადება შემდეგი აუცილებელი დასკვნა: ეს კაცი არ ეკუთვნის იმ საზოგადო მოქმედებას დასს, რომელიც არასოდეს და არავითარს გარემოებაში არ უმტყუნებს ხოლომე თავის ერთხელევე აღიარებულს რწმუნებას, არ უხვევს აქეთ-იქით გზას... ჩვენ გვახსოვს, რომ ეს მოძღვარი არაერთხელ გამოლაშქრებია მძლავრთა მათის უსამართლობის დასათრგუნველად, მაგრამ ისიც ბევრჯერ გინახავს, რომ სრულიად მოულოდნელად დასჩლოუნებია საკეთი ხმალი და თითონვე, თუ პირ-და-პირ აშკარად არა, საფარდგან მაინც ხშირად შეუწყვიტა ხელი ამისთანა გვაშთათვის.

მრავალს ამ გვარს მაგალითებში საკმაოა მოვაგონოთ მკითხველს მხოლოდ მ. ლ. გალაშქრება განსვენებულს ბერასიმე ძალანდარი-შვილზე და უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მთვჯობა მის ბოლომდე მოადგილეების შესახებ. მერავინ ვერ იტყვის, გარდა ბ. ი. შხაკაძისა და ი. შაფრინდაშვილისა, რომ მუთათის სასულიერო სასწავლებლის უფროსები დღეს ვითომც უფრო ნაკლებად საჭიროებდნენ თამამად და უშიშრად მამხილებელს «ორატორებს», ვიდრე განსვენებული ბერასიმე ძალანდარი-შვილი, მ. ლ. თავის ჯარას ხან წაღმა ატრიალებს, ხან უკუღმობა. იგი ეხლა იმან ისევე წაღმა დაატრიალა ჯარა და აღჭურვილი საყვირითა და კომბალითა გამოვიდა ასპარეზზე, როგორც მწყემსი.

„მწყემსმან კეთილმან ცხვარათვის დადგასო სული ტკბილია“.

თვით იარაღსაც წააწერა «მწყემსი» და ლალა-ჰყო: «დაიმედებული ვარ, რომ სიყვარული საქმისა და მოყვასისადმი (!) დასძლიევენ ყველა გაჭირვებას და დაბრკოლებასა. ამ სიყვარულობით და იმედით ვკიდებთ ხელს ამ სამხელო საქმეს». აბა რას ნიშნავს ეს, თუ არ წაღმა ჯარას ტრიალს? ეს ეხლა. შარშან კი სამღვდლოების კრებაზედ მუთათის სასულიერო სასწავლებელში ის ისევე საფარში ვახლოდა და ისეთი ბოქლომი ედვა ბაგეზედ, რომ თუმცა ჩვეულებრივად თავს-მჯდომარეობდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია კრების შემო აღნიშნულის საგნის შესახებ, და ჩვენ ჩვეულებრივად პირში-მთქმელს, შეუბოვარს და თვით-მოქმედს მოძღვარს ვეღარც კი ცნობილობდით, თითქო იმას სხვისი სადავე ედო პირში და ის უხილაფი მხედარი იქით უწევდა მას თავს, სითაც თავის ბალდადი ეგულებოდა.

საწყალ დებუტატებს რა ექნათ? ჯერ ერთი ჯარების ჯაფრი ჰკლავდათ და მერე—წინამძღოლიც შებორკილი აღმოუჩნდათ. შევლაფერი ისე გადასწყვიტეს, როგორც ბლალაჩინის მხედარს სურდა: წასრული წლის (1881 წ.) შესავალ-გასავლით დადგენილი ხარჯები ჰქმნაჩიტად აღიარეს, მომავლის (1882 წ.) წლის შესავალ-გასავალიც მდუმარებათ დაამტკიცეს, სამთლის საქმეც მიფუშ-მოფუშეს და, ნუ იტყვიოთ—ბ. ი. შხაკაძეს შემოსავალ-გასავლიდამ მონარჩენს (sic) ხუთას მანეთზე სამკვეც მოდრეკით მადლობა გამოუტყდადეს.

სხდომა გათავდა. აიღეს თავი მღვდლებმა და გაეშურნენ მარხულ ჯარებთან. საქმე გაკეთდა. მაგრამ ვისი საქმე? მანა თუ სამღვდლოებისა? სულაც არა. გაკეთდა საქმე ბ. ი. შხაკაძის, არ უმტყუნა მას მისმა ვარსკვლავმა და სამღვდლოება ზედა პირით დაკმაყოფილდა,—სარჩულის ჩვენება აღარ მოითხოვა. ჩვენ თუ გვკითხავთ, ეს ასე არ უნდა მომხდარიყო. დებუტატებს ყოველივე ხარჯის შემოწმების დროს უნდა მოეთხოვა, ვისგანაც ჯერ იყო, შემოსავალ-გასავლის დაეთრები, ყოველივე მკაცრად გაეჩხრიკა, შემოწმებინა ჯამები, ხელმოწერილები იმ პირთა, რომელთაც სასწავლებლიდამ ფული მიუღიათ, გამოეძიათ დრო და დროული «ტაქსა» იმ ნივთებისა და ხორაგისა, რომელიც აღნიშნული იქნებოდა ხსენებულს დაეთრებში; გამოეკითხნათ დაწერილებით, მართლა მოხმარებია სასწავლებელს, რაც დაეთრებში სწერია, თუ არა. როდესაც ზე-

დამხდველმა ბ. ი. შხაკაძემ ხუთასი მანეთი მონარჩენი ფულები წარმოადგინა, ჯერ მინამ მადლობას ეტყოდნენ, გულ-დასმით უნდა ეკითხნათ—საიღამ მორჩა ეს ფულები და როგორ? თუ ამდენი მორჩებოდა, რად ამტკიცებინებდა ის მათ წასრული წლის შესავალ-გასავალს.—და თუ ბ. ი. შხაკაძე ვრცლად და ნათლად დაამტკიცებდა, რომ ამ ხუთასი მანეთის გადარჩომა არის მხოლოდ მისი ეკონომიური ნიჭის შედეგი, რომ სასწავლებლის და ყმაწვილების ყოველივე საჭიროებანი ჯეროვნად იყო დაკმაყოფილებული,—აი მაშინ მოვიდრიკებოდით და მადლობას შეგსწირავდით. პარგია, თუ კი ყოველთვის კოკა წყალს მოიტანს.

აი ეხლა მე თქვენ დავამტკიცებთ, რომ იმ ხუთასი მანეთის გადარჩენა ბ. ი. შხაკაძის ნიჭის ნაყოფი კია, მაგრამ არა ეკონომიურისა, არამედ გაიძვერულის, რომელმაც ამ მადლობის მისაღებად და სამღვდლოების თვალში ერთგული და მომჭირნე კაცის სახელის მოსახვეჭად უხუნესად შთააგონა მას უადგილო და შეუსაბამო ხელის მოჭირება და ახალი ქორანიკონის აღმოჩენა. როგორც მოგესხენებით, წითელი ლობიო ძალიან გამწევია და ძროხის ძვლები, თუნდაც რომ ზედ ბევრი რბილი არ ეტყობოდეს, გვარიანად აკეთებს წვენს ქებაში; ადამიანი ისეთი ცხოველია, რომ თუმცა ძლიერ უყვარს ზამთარში სითბო, მაგრამ სიცხესაც კარგად იტანს, თუ მაინცადა-მაინც გადაჭარბებული არ არის. ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ ამ გვარები ზედ-მიწვენიოთ იცის ბ. შხაკაძემ, და აი ის ხერელო, საიღამაც ამოაძვინა მან ერთი ნაწილი იმ ხუთასი მანეთისა. ჩვენ გავიგეთ, ვითომც ბ. ი. შხაკაძეს ბურსის შავირდებისთვის მკადის შემოღება მოენდომებინოს პურის მაგიერად, რომ ყოველად სამღვდლო მარბიელი დასთანხმებოდა ამ დიდი ეკონომისტის წინადადებას. ალბად აქაც გასავალიდამა მეტის დარჩენისთვის სტკიოდა მუცელი ამ ვაჭბატონს. მერე ნაწილი კი ისევე მის მიერ მოგონილმა ახალმა ქორანიკონმა ჰშვა. სასაცილო ის არის, რომ ბ. შხაკაძემ თვით დროც კი არ დააყენა დაუმანინჯებლად. ახლაც მოგახსენებთ საქმე როგორ არის:

1881 წელში ღარიბ მოსწავლეთათვის კრებისაგან იყო დანიშნული რამოდენიმე ასი მანეთი, რომელიც მათ უნდა დარიგებოდა 1882 წლის სამღვდლოების კრების გახსნამდის (თუ უფრო ადრე ეღირსებოდნენ საბრალონი ამ ფულებს, ეს კიდევ უკეთესი), მაგრამ დახე, რომ სამღვდლოების კრება გათავდა (შარშან ნოემბრის ოცს რიცხვებში), დეკემბერი დაილია, ამ 1883 წლის იანვარიც გვეწვია, დაილია და თებერვლის 20 რიცხვს ძლიერ-ძლიერობით დაურჩებადო მაკირდებს შარშან მისაღები ფული. ამ ნაირად თავის დაეთრებში ბ. შხაკაძემ 1882 წელს 1883 წელ-

ში ამოაყოფინა თავი და მღვდლებს კი ეს ფულები გასავლიდამ მონარჩენი აჩვენა. მე მგონია, რომ ბ. შხაკაძის ამ გვარი მოქმედება განკიცხვის ღირსია, თუ მეტისა არა. აგრეთვე ფრთხილად და დიდის წინ-დახედულობით უნდა შეუდგეთ ხოლომე, მინამ დაამტკიცებდეთ, მომავალი წლის შესავალ-გასავალზე მსჯელობას. რა თქვას კაცმა, თქვენ შარშანაც კი ძალი იყვირეთ იმ წლის შესავალ-გასავლის თაობაზედ, და როცა მოსამეტებელს ფულზედ ჩამოაგდებდა სიტყვას თავს-მჯდომარე, საშინელს უარს გაიძახოდით, მაგრამ ნახევარი წამის შემდეგ (ალბად ისევე ჯარები იყო მიზეზი) თქვენი «არა» «ჰოთ» იქცეოდა. აქ არც «არა» და არც «ჰო» არ ყოფილა შედეგი დამჯდარი, გამორკვეული მსჯელობისა: «არა» მოსდევდა ინსტინქტურს გრძობას, რომ ღარიბისთვის მეტი გადასახადი სამძიმოა და «ჰო» შინისაკენ მალე წასვლის წაღილს. ამიტომ, ვინ იცის, ამ შესავალ-გასავლით დადგენილს ფულებშიაც რამდენი სამადლობო მანეთი შეგვპარათ. სხვა არ ვიციოთ და იმ ფულის შესახებ კი, რომელიც შარშან დანიშნეთ მასწავლებლებისა. ბენაევის და ი. მატარაძის მისაცემად, ალბად წელსაც ბ. შხაკაძეს მადლობას შესწირავთ, რადგან ნამდვილად ვიციოთ, რომ ეს ფულები დღესაც ხსენებულ მასწავლებლებს არ ღირსებით და მიღების იმედაც დაკარგული აქეთ ბ. შხაკაძის ხელის დარჩევის გამო. რასაკვირველია, თუ სამღვდლოება წრეწარდელ კრებაზედაც შარშანდულად მოიქცა, ბ. შხაკაძე ამ ფულსაც მისი ეკონომიური გენიოსობის წყალობით გასავლიდამ გადარჩენილად უჩვენებს.

წასრულს კრებაზედ იმეტომ ვილაპარაკეთ ამდენი, რომ მომავალი კრება ასცდეს იმ შეცდომებს, რომელნიც მან ნებით და უნებლიეთ ჩაიდინა. ამ შეცდომების გასწორება შეუძლიან ისევე იმ პირს, რომლის წინ-დაუხედაობით—მეტი რომ არა ვსთქვათ—ისინი მოხდა. მ. ლამბაშიძის გამჭირახს გონებას ყველაზედ უკეთესად ესმის, თუ რა და რა სენები აწუხებენ სასწავლებელს და წაშლიც ხელთ უპყრია, თუ წაღმა ტრიალს არ უმტყუნა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ის წარუღოს მაინც დავიმტკიცებთ თავის კეთილს მწყემსობას და არ იკადრებს არა ვისგან არც ლაგამს და არც ზურგზედ ჯდომას. ასე თუ მოიქცევა ის, მაშინ ბ. შხაკაძეს უსათუოდ ჩამორთმეული ექნება სასწავლებლის ეკონომობაც და სათლის მალაზიის პრიკაშიკობაც. შოველი ანგარიშის დაეთრები ზემოხსენებულს რიგზედ გაჩხრიკილი იქნება დებუტატების მიერ თვით მ. ლამბაშიძის ხელმძღვანელობით,—და თუ ეს არ მოხერხდა კრების დროს, დანიშნულ იქნება საიმედო პირთაგან კამისია ამ დაეთრე-

ბის სარეზინოდ. მსეთი რევიზია უფ-
ქველად გაანთავისუფლებს მღვდლებს
სასაქლო მადლობისთვის ექედის
დრეკისაგან და—რაც უფრო საყოფა-
დლებოა—აღმოაჩინა, თუ როგორ
აკოჭავენს ბ. შხაკაძე სამღვდლოე-
ბისაგან მოტანილს დიდ-ძალ ფულს
სასწავლებლის შესანახად, თუ ბანკ-
ში, თუ კერძო პირებზე, თუ თვით
სასწავლებლის კედლებშივე ვილაც
მკნატ-მუგნატების სამუალებით, რა-
საკვირველია, იმიტომ, რომ, თუ თვით
დღედაღს ვერას გამოჩნა, კერძო
მანც იმ სიდიდე დაადებინოს,
რომ ყინი ოდნავ მანც მოიკ-
ლას. და ყველა ეს ხომ დიდი
სამსახურის გაწევა იქნება მ. ლამბა-
შიძის მხრით სამღვდლოების წინაშე.

სამღვდლოებამ დროა გაიგოს,
რომ ეკონომობა და სანთლის დუქ-
ნის «პრიკაშიკობა» აღარ ეკუთვნის
ამ სიდიდე სასწავლებლის ზედამხედ-
ველს, რომლის წმინდა პედაგოგიუ-
რი საქმეა თვით პესტალოცა და-
ლაღვდა და დღე-ღამე ძილს გა-
უტეხდა. მაგრამ სჩანს ხსენებული
პედაგოგი ბ. შხაკაძე პესტალოცა-
ბაზედ ძლიერ შემომწყრალი უნდა
ბძანდებოდეს; შორს უნდა რბოდეს
მისი გონება ბავშვების აღზა-განა-
თლებისაგან, თორემ ვინ სასწავლებ-
ლის ზედამხედველი და ვინ მალაზის
«პრიკაშიკი» და ეკონომი? არ ვამ-
ტყუნებთ: ყოველ გვარი ნიჭი თავის
შესაფერ მასალას ეჭიდებ. უნდა
ესთქვათ, რომ ბუნდი წარმოდგენა
ამ ჩვენი აზრისა სამღვდლოებას შარ-
შანდელ კრებაზედაც ამოაჩნდა და
მოინდობა კიდევ ბ. შხაკაძის ეკო-
ნომობისაგან გამოცემა და ამ თან-
მდებობაზე სხვის დაყენება, მაგრამ ბ.

შხაკაძის მჭევრ-მეტყველობამ იმაზედ,
რომ ის უსასყიდლოდ (!) ასრულებს
ამ თანამდებობას და ახალს ეკონომს
ხომ ჯამაგირი უნდა დაენიშნოს,—აღ-
ვილად მოხიბლა ზოგიერთ მამათა
გონება, მით უმეტეს, რომ ამ დროს
თვით კრების თავს-მჯდომარე, მ. ლამ-
ბაშიძეც, ნიშნად ბ. შხაკაძის აზრის
თანხმობისა, მჭევრ-მეტყველურად
მღუმარებდა და სიხუმით მას ბანს
აძლევდა,—და ისევ ბ. შხაკაძე ეკო-
ნომად დარჩა. ის კი არ გაახსენდათ
ამ დალოცვილებს, რომ ეხლანდელს
დროში არისტიდები გადაშენდენ, და
როცა რომელიმე საზოგადო დაწე-
სებულებებში მოსამსახურე პირი უარს
ჰყოფს დადგენილს ჯამაგირზე, დარ-
წმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს
ამკარა თვალის ახვევაა არისტიდის
სახელის მოსახვეჭად გარეგნად მანც,
და ნამდვილ ხომ დადგენილს ჯამა-
გირზე ორ-სამ კეცად-მეტს გამოყოლის
თვით საქმის წარმოების დროს. შო-
ველივე ეს, რაც ჩვენ ბ. შხაკაძის
ეკონომობაზედ ესთქვით, ითქმება
მისს სანთლის მალაზის «პრიკაშიკო-

ბაზედაც» იმ განსხვავებით, რომ ამ
თანამდებობას ბ. ი. შხაკაძე უსას-
ყიდლოდ არ ასრულებს და ეს თა-
ნამდებობა მიეცა მას არა ზე-
მოხსენებულ მამათაგან, არამედ მალ-
ლად განვითარებულ და შორს
გამჭვრეტელ გონების მქონე პირისა-
გან. აქ რაღა უნდა ვსთქვათ, თუ
არა ეს: «ყოველი კაცი ცოდვილ
არს, რა მივაგოთ უფალსა». აღბად
გულ-წრფელს და თვალ დაკლებულს
მოხუცებულს ისააკ ისაკობი ისაკი
ეგონა.

შხაკაძე მკითხველმა თავად გამოიყ-
ვანოს დასკვნა, თუ რამდენად მარ-
თალია ჩვენი ზემოდ გამოთქმული
აზრი, რომ ჩვენს ხალხს საზოგადო
ასპარეზზედ თვით-არსებობისათვის სა-
მოქმედოდ ჯერ «საქერეც» არ ამო-
სვლია.

გ. ჩხრეიაშვილი.
ქუთაისი 19 ოქტომბერს 1883 წ.

განსხვავება

გამსესხებელი კასსა
ბრიგოლ ბარამოვისა და კომპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასსის
წინ ქუთაისში, 15 და 25 ნოემბერს,
გაისყიდება ქალაქის აუციონისტების
ხელით, ის გირაოები, რომელიც არ
გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის
მიცემის (ლოგოტის) შემდეგ, ოქრო-
სი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნი-
თები. (10—3)

სასტუმრო (გოსტინიცა) „ისტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორონცოვის
ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად
ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია
ელექტრიულის დასარეკის ზარით და
მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა
აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქ-
მელებისა კარტით და სასმელებისა
ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.
(30—19)

მივიღეთ ბევრი ფოტოს ქალაქი,
რიფსისა და ბევრი სხვა ნაირი კონ-
ვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები,
კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდ-
ნოსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს
მოკრეფისა და სხ. სულყველ-ფერი
25%-ით უფრო იაფად იყიდება, ვიდ-
რე სხვაგან სადმე ინგლისურს მალა-
ზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტან-
საცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა.
ამებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ
მყიდველებს. (10—10)

მალს ბალტოები, კაცის ქულები
და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლი-
სის მალაზიაში, რომელიც არწრუნის
გალერეიაში იმყოფება. (10—4)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შუბარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-
ფები, რეკლავები, ვაზოტები, ჭურ-
ჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები,
კოვრები, ტანსაცმელი, ქაღალდი,
შოკოლადი, ვაგაო, კანსუტები, მურაბე-
ბი, მაგნიზია, უნაგირები, კლეონკა,
წინდები—გაცის და ქაღალდი, ხელ-სახო-
რები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ-
გველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაძე მა-
ლაზიაში.

ვინც ქაღალს გარკადამ 25 მანეთადამ
1,000 მანეთადამ საქონელს გამო-
წერს, გასაჯნავს არაფერს არ ის-
დას. (100—57)

ინგლისის მალაზიაში

თინს-აპოპოზანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-
სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი
და 28 კაპ. (100—57)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
და-ხელ 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამ-
დე 1883 წ.

გამომცხვარი შური რუ.

სთვის ფქვილისა	— 1 გ. 5 კ.
აჭაურის ფქვილისა: პირ-	
ველის ხარისხისა	— 1 გ. 2 1/2
მეორისა	— 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონაშუა გამომცხვარი:


პირველის ხარისხისა	— 1 გ. 5 კ.
მეორისა	— 1 გ. 3 კ.
მესამისა	— 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:

პირველის ხარისხისა	— 1 გ. 5 კ.
მეორის ხარისხისა	— 1 გ. 3 1/2
მესამისა	— 1 გ. —

ძროხის სარცია:

პირველის ხარისხისა	— 1 გ. 8 კ.
მეორისა	— 1 გ. 7 კ.
სუგა	— 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხარცია	— 1 გ. 8 კ.



ინგლისური რკინის კრებულები
ერთის საწოლი 7 მანეთადგან და
ორის საწოლი 14 მანეთადგან, მათი
ლეები, ზღვის ბაღანით გატენილი 5-
დგან 8 მანეთადგან. კიდევ შემდეგი ნი-
თება იყიდება 25%-ით უფრო იაფად,
ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანისა მუტა-
ლის ნიეთები, ჩაიდნები, საკარაქე, სა-
შაქრე, ჩაისა და სტოლის ვოკსები ჩანგ-
ლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-
სახანა, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურა-
კები, რიშუკები, გრაფინები, საქაშეები,
თეფები, ბლუდები, სასადათები, ტან-
საცმელი, სარძევეები, სამარაგები, გაწინ-
ცის საფხეები, უნაგირები გაცისა და
ქაღალდი, ალირები, ხლისტები, ტანისა-
მოსის დასაყიდებლები, საბადო მაკრატ-
ლები, გაქსები, უთაგები, წისჭილეები,
ხერხები, ქაღალდი, გლიტები, ინგლისის
თოფები და რეკლავები, შიშები, სა-
რბადები, ვაშაიულები, საფანჯრები, ნაჩ-
ბები, გატერპრუქები, სახნები, ჩუქლები,
წინდები, სუფრები, საღებავებისათვის
რგოლები, ემალანა ჭურჭელი, მურა-
ბები, კამფები, შიშები, სოუსები,
ზღვის ბაღანა, დიმიკიტონები და სხ.
ინგლისურს მალაზიაში №№ 156,
157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს
უწრადდება მიაქვით. (100—11)

ინგლისის მალაზიაში

გაპ-მასტარი

იქვე ისყიდება ქინის პომადო-
თების გასამაგრებლად. ფასი 1
მან. სხოტები თავის ტვილიც, ს.
მოსასაზომლად, ტუალეტის სა-
პონი, ღუსები და სხვ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდან საშურადინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.